მარჯვილი

გაზეთი გამოდის 1995 წლის მარტიდან №2, 26 თებერვალი, 2025 წელი

პრემიერ-მინისტრის განცხადებები მთავრობის სხდომაზე

მთავრობის მეთაურმა ქვეყანაში დიდთოვლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა უწყების მობილიზება სტიქიასთან საბრძოლველად.

„დიდთოვლობა არის რამდენიმე რეგიონში. საჭიროა ყველა უწყების სრული მობილიზება, რათა ვებრძოლოთ სტიქიის შედეგებს და ვიზრუნოთ მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად დაცვაზე. დღესაც არის მაქსიმალური მობილიზება და მომდევნო დღეების განმავლობაშიც ყველა ზომა იქნება მიღებული იმისათვის, რომ მაქსიმალურად ვიზრუნოთ მოსახლეობაზე დიდთოვლობიდან გამომდინარე», – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრმა ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, მთლიანობაში დასაქმებულთა რაოდენობამ მიაღწია 1 412 500-ს, რაც არის რეკორდული მაჩვენებელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

„რაც შეეხება ეკონომიკას, დასაქმების კუთხით გვაქვს ძალიან კარგი მაჩვენებლები. საქსტატმა შეაჯამა გასული წლის მე-4 კვარტლის მონაცემები და წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, დაქირავებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 20 100 ადამიანით, მიაღწია 978 500-ს ამ მაჩვენებელმა. რაც შეეხება თვითდასაქმებულთა რიცხოვნობას, გაიზარდა 19 700 ადამიანით და მიაღწია 433 500-ს. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა შემცირდა 14 700-ით. მთლიანობაში, გასული 3 წლის განმავლობაში, დასაქმების თვალსაზრისით გვქონდა ძალიან კარგი ზრდა. დასაქმებულთა რაოდენობამ მიაღწია 1 412 500-ს, რაც არის რეკორდული მაჩვენებელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში და მხოლოდ ბოლო 3 წლის განმავლობაში დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდა 195 000-ით. შესაბამისად, ჩვენი ამბიციური მიზანი, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში 200 000 ახალი სამუშაო ადგილი შევქმნათ, არის აბსოლუტურად რეალისტური და მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იქნება სწორედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

საგარეო ვაჭრობის მიმართულებით გვაქვს ძალიან კარგი მაჩვენებელი – 2025 წლის იანვრის მონაცემები გამოაქვეყნა საქსტატმა და საგარეო ვაჭრობა გაზრდილია 39.3 %-ით, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა ჩვენი ქვეყნისთვის. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული სახით გამოქვეყნებული იანვრის მონაცემები, თუმცა წინასწარი შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდა იქნება ორნიშნასთან საკმაოდ ახლოს», – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ქვეყანას ყველა მიმართულებით აქვს კარგი მონაცემები როგორც დასაქმების, ასევე სავაჭრო ურთიერთობების და ეკონომიკური ზრდის ნაწილში.

გარკვეულ სუბიექტებს ჩვენს ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ ჰქონდათ ეკონომიკური კრიზისის ხელოვნურად შექმნის, გამოწვევის გეგმა, თუმცა ეს გეგმა რეალურად ჩავარდა. ყველა მიმართულებით გვაქვს ძალიან კარგი მონაცემები როგორც დასაქმების, ასევე სავაჭრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური ზრდის ნაწილში. ქვეყანა განაგრძობს შეუფერხებლად განვითარებას. ჩვენი ამოცანაა, დაახლოებით ზრდის იმავე მაჩვენებელზე გავიდეთ, რაც გვქონდა 2024 წელს. შარშან ზრდამ შეადგინა 9.5% და სავსებით რეალურია ასეთი მაჩვენებლის გამეორება მიმდინარე წელსაც. ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები ცდილობენ საპირისპირო მიმართულებით ქვეყნის განვითარების წარმართვას, თუმცა მათ გეგმებს, რა თქმა უნდა, განხორციელება არ უწერია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციის რადიკალური ნაწილი არის, რბილად რომ აღვნიშნოთ, თავიდან ბოლომდე რთულ მდგომარეობაში. პირველად, გასული 20 წლის განმავლობაში, კოლექტიური ნაცმოძრაობა არ არის წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ შეუფერხებლად განვითარდეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული სისტემა. ჩვენ ეს დაპირება მივეცით ქართულ საზოგადოებას, ეს დაპირება დიდწილად შესრულდა და, რა თქმა უნდა, განვაგრძობთ ამ დაპირების შესრულებას. რადიკალიზმის გარეშე ჩვენი დემოკრატიული სისტემა ბევრად უფრო სწრაფად განვითარდება და ბევრად ნაკლები შეფერხება ექნება ასეთ პირობებში ჩვენს ეკონომიკურ წინსვლასაც და, ზოგადად, განვითარებას ყველა მიმართულებით», – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მარჯვილში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

მარტვილის მუნიციპალიტეტში, დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლედგებეს საჯარო სკოლიდან თამაკონის ცენტრალური გზის მიმართულებით საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა თორნიკე ჯანაშიამ საკრებულოს თავმჯდომარესთან ლევან სურმავასთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში ცემენტო-ბეტონის საფარით მოეწყობა 1 481 მეტრი საავტომობილო გზა. ასევე მოეწყობა რკინაბეტონის კიუვეტები, ლითონის მილები ბეტონის სათავისებით.

პროექტის ღირებულება 255 000 ლარს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოების შპს „ჯთ ნიუ როად“ ასრულებს.

საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

მარჯვილის მერმა ორი საავტომობილო ხიდის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა

მარტვილის მუნიციპალიტეტში, აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში, 2 საავტომობილო ხიდის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

აბედათში ჯოლევის უბანში საავტომობილო ხიდის მოწყობის, ხოლო მდინარე ტარჩენზე ლითონკონსტრუქციის საავტომობილო ხიდის შუა ბურჯის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა თორნიკე ჯანაშიამ და მერის მოადგილემ გივი ელიავამ დაათვალიერა.

არსებული ხიდები სტიქიის დროს დაზიანდა და მასზე გადაადგილება უსაფრთხო არ იყო. რეაბილიტაციის შემდეგ მასზე გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული იქნება.

ხიდების მშენებლობა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 655 597 ლარით ფინანსდება.

მარტვილის მუნიციპალიტეტში გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

მარტვილის მუნიციპალიტეტში, თოვლის სახით მოსულმა უხვმა ნალექმა, პრობლემები შექმნა. მუნიციპალიტეტში მთელი ღამის განმავლობაში უხვი ნალექისგან გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობდა. გაიწმინდა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები.

გაწმენდით სამუშაოებში ჩართულია მუნიციპალური სამსახურებისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკა. მუნიციპალური სამსახურები საგანგებო რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას.

მერიაში შექმნილია ცხელი ხაზი, 24 საათის განმავლობაში შეგიძლიათ დარეკოთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე:

☎ 599 51 59 73
☎ 577 94 41 30
☎ 577 95 54 00
☎ 599 03 06 63

მარტვილში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრები დასრულდა

მარტვილის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა.

საერთო კრებებზე მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს კენჭი ეყარა და ხმათა უმრავლესობით თითოეულ დასახლებაში პრიორიტეტები გამოვლინდა.

შეხვედრას ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი თორნიკე ჯანაშია და მერიის შესაბამისის სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ.

2025 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 990 000 ლარი დაიხარჯება. პრიორიტეტების გამოსავლენად, ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები 10 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით 20 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 74 სოფელში, 54 საერთო კრების სხდომა და 20 კონსულტაცია გაიმართა. მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით თავად გადაწყვიტა, რას მოხმარდება თითოეული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა, შერჩეული პროექტები კი დასამტკიცებლად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება.

სისხლის გადასხმის აქცია

დღეს, მარტვილი მუნიციპალიტეტის მერიის საქტო დარბაზში სისხლის უანგარო დონაციის აქცია - ,,გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი'' - გაიმართა.

აქციაში მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს საჯარო მოხელეები, სხვადასხვა უწყების თანამშრომლები და მოქალაქეები ჩაერთვნენ.

უანგარო დონორობის აქცია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ ,,სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის'' ორგანიზებით გაიმართა.

მარტვილში საბავშო ბაღების მშენებლობა მიმდინარეობს

მარტვილის მუნიციპალიტეტში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ბაღების მშენებლობის პროგრამას ახორციელებს.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერავა, მარტვილის მერთან თორნიკე ჯანაშიასთან ერთად სოფელ გაჭედილში გაეცნო. გაჭედილთან ერთად ახალი საბავშვო ბაღები გურძემის, სალხინოს და კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარეობს.

ახალ საბავშვო ბაღებში მოეწყობა სათამაშო და საძინებელი ოთახები, საპირფარეშოები და ეზოები. გათვალისწინებულია შიდა და გარე სივრცეების, რეკრეაციული ზონების, კომუნიკაციების და სველი წერტილების კეთილმოწყობა.

ბაღების შენობა სრულად ადაპტირებული იქნება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

მარჯვილის თოჯინების თეატრში

21 თებერვალს მარტვილის თოჯინების თეატრს წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის აღსაზრდელები სტუმრობდნენ.

წარმოდგენილი იყო სპექტაკლი ,,სამი გოჭი''. რეჟისორია ლევან გაბრიჭიძე, სამხატვრო ხელმძღვანელიბი – გოჩა სხულუხია, თეატრის მმართველი – ზურაბ ჯამბურია.

სახელმწიფო რწმუნებულმა ზედა ხუნწის სკოლის სამუშაოები დაათვალიერა

მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა ხუნწში საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერავა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერთი თორნიკე ჯანაშია გაეცნო.

პროექტის ფარგლებში ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა შენდება. პროექტი ითვალისწინებს საკლასო ოთახების, ლაბორატორიის, ბიბლიოთეკის, სამასწავლებლოს, ექიმის კაბინეტის, რეკრეაციული სივრცის და ღობის მოწყობას. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობის სამუშაოების ბიუჯეტი 1 192 079 ლარს შეადგენს.

პროექტი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით ხორციელდება.

მადლობის სტრიქონები

ექიმი ზურაბ წულაია

პატივცემულო რედაქციავ! მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ქუთაისის რეფერალური კლინიკის ექიმებს – ქირურგ ზურაბ წულაიას და ანესთეზიოლოგ დავით ჯანაშიას იმ განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობისათვის,რაც ჩემს მიმართ გამოიჩინეს. ორივეს, ბატონ ზურაბს და ბატონ დავითს საოცრად გულისხმიერ და ნიჭიერ ექიმად ახასიათებს ყველა, ვინც კი აღნიშნულ კლინიკაში მოხვედრილა. მე ძლიერ გართულებული სეფსისი მქონდა და ამ ადამიანებმა გადამარჩინეს. ბედნიერებაა, რომ ჩვენს სამედიცინო საზოგადოებას ასეთი პროფესიონალი ექიმები ჰყავს. კიდევ ერთხელ მადლობა მათ და მათთან მომუშავე ყველა ექიმს, ექთანს, დამხმარე პერსონალს,რომლებიც საუკეთესონი არიან. მათი არსებობა პაციენტთა დიდი იმედია, რადგან ასეთ კლინიკას მართლა შეიძლება შენი ჯანმრთელობა ანდო.

ირმა ჯანაშია, მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი თამაკონი

პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირი

პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის მარტვილის რაიონული ორგანიზაცია ონლაინტრენინგებს გეგმავს მიმდინარე წლის 9 მარტიდან საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მარტვილის რაიონული ორგანიზაცია პროფწევრების დასახმარებლად გეგმავს ონლაინტრენინგებს თემაზე – ,,ხელოვნური ინტელექტი-შესაძლებლობები და რისკები“ დარეგისტრირებულია 180-ზე მეტი მასწავლებელი. მუშაობა წარიმართება “teams”-ის პლატფორმით. იმუშავებს რამდენიმე ჯგუფი 25-30 წთ ხანგრძლივობით. ტრენინგებს გაუძღვება ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი დავით ლიპარტელიანი. ტრენინგების ხარჯებს სრულად აფინანსებს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მარტვილის რაიონული ორგანიზაცია.

უწყინარი რეპლიკები

ქართული პოეზიის ენციკლოპედიის გამო

ახლახან ვნახე ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული ქართული პოეზიის ენციკლოპედია – ქართველი პოეტები, სადაც სხვა ავტორებთან ერთად შესულია ჩემი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, ფოტო და პერსი ბიში შელის ერთი ლექსის ჩემეული თარგმანი, რისთვისაც შემდგენლებისა და გამომცემლების მისამართით მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მაგრამ, სამწუხაროდ, აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამ ლექსის რამდენიმე სტრიქონი წიგნში შეცდომითაა დაბეჭდილი თუ შეგნებულად გადაკეთებული.

პერსი ბიში შელის ამ ლექსის თარგმანი რამდენჯერმე მაქვს გამოქვეყნებული პრესაში და ის ყველგან ასე იკითხება:

საღამო მშვიდობისა?
ეს როგორ იქნება?
უშენოდ სიმშვიდეს მომიტანს რამე?
ნუ წახვალ, აქ დარჩი,
სხვა არცრა მჭირდება
და მაშინ მექნება მშვიდობის ღამე.
ჩემთვის უშენობა დარდია ტიალი,
სხვა ვინ დამიამებს ამ მწუხრის წამებს,
სჯობს დავტკბეთ ამაღამ
ჩვენ ტრფობის სიამით
და მაშინ გვექნება მშვიდობის ღამე.
გულები მარადჟამს -
ღამით და დილითაც
სულ ერთმანეთისკენ
ილტვიან მინდობით,
აქვთ ღამე ყოველთვის
საკმაოდ მშვიდი და
არასდროს ეტყვიან ერთმანეთს:
,,მშვიდობით''.

და ასე უნდა იყოს ეს ლექსი წარმოდგენილი ზემოაღნიშნულ ენციკლოპედიაში. მიუხედავად ამ მცირე შენიშვნისა, აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული ქართული პოეზიის ენციკლოპედია მართლაც რომ დიდებული საჩუქარია არა მარტო მასში შესული ავტორებისთვის, არამედ პოეზიის მოყვარული ყველა მკითხველისთვის.

ჩქიმი ჭიჭე სამარგალო

ამას წინათ მარტვილიდან ქუთაისში ავტობუსით მივდიოდი. მძღოლი მაგნიტოფონს ამღერებდა. მეგრული ჰანგები ჰქონდა ჩაწერილი. მათ შორის ,,ჩქიმი ჭიჭე სამარგალო''. არ ვიცი, რომელი გუნდი ასრულებდა, მაგრამ ტექსტს ცოტა დამახინჯებულად მღეროდნენ. რაკი ეს სიმღერა – ,,ჩქიმი ჭიჭე სამარგალო'' – ჩემ ლექსზეა შექმნილი (რაც ბევრმა არც კი იცის), მინდა ყველამ, ვინც მას მღერის, კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხოს ეს სტრიქონები:

ირ ქიანა გიყორდასუ,
მარა რშუდას სი მიქ რდუნი,
ვეშგოჭყორდას დიდა ნანას
მუ ნინაშა გიბირდუნი.
საქორთუოშ არძა კუთხუს
საოროფოთ გუნჯი გური,
მარა ვეშეჭყოლიდუა
სქანი ნინა მარგალური.
ფჩირთუქუდა მაპატიით
დო ქოფთქუანქ მართალს გვალო:
მა არძაშა ქომისხუნუ
ჩქიმი ჭიჭე სამარგალო.

ეს ლექსი, რომელზეც მშვენიერი მუსიკაა შექმნილი, ჩემი მშობლიური კუთხისა და ენის სიყვარულმა დამაწერინა, ამიტომ განსაკუთრებით მიყვარს იგი და არ მინდა მას ვინმე უდიერად მოეპყრას, თორემ სხვამხრივ ყველა იმ მომღერლის მიმართ (ვინც მას მღერის), რასაკვირველია, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

ფაუსტ ნადარაია

ილია კუხალაშვილი



* * *

მაგრამ მითხარ, სადაა,
ის, რაც ალერსადაა.

გალაკტიონი

ახლა აქ ვსახლობ,
ცივ წაჩხურის ვისრუტავ ნაორთქლს,
მესმის გაბმული ხმაური და
მაჯას ვისველებ,
ვესაუბრები რიყის ქვებს და
სევდასთან ვდაობ,
ვზივარ მარტოკა, მარტოსული
მარტოს გიხსენებ.
ლურჯია წყალი,
ჩაიღვარა თითქოს ცა წყალში,
დაციმციმებენ კალმახები
ვარსკვლავებივით,
ტირიფის ტოტებს ზოგჯერ
ქარის სიანცე აშლის,
გრძელთმიანები ჩურჩულებენ
ნაზი დებივით.
მიყვარს ოცნება.
აქ სიცხადე ოცნებებს ბადებს,
ვეღარაფერი ვერ დაგიფრთხობს
ძვირფას ჩვენებას,
აქ ვერ მოგიმწყვდევს
მოავეთა მსახვრალი ბადე,
ვერც მიწიერი განდიდება და შეჩვენება.
აქ სამოთხეა.
ეფერება იფანი იფანს,
,,ლოდი ლოდს ეტრფის, იმ ერთსა და
მისთვის გაჩენილს'',
აქ სამოთხეა,
აქ ოცნებით დათრობა მიყვარს,
მაგრამ... ბოდვაა, მირაჟია,
აქ ვერ დავრჩები...

(ლ-ს)

ვერც ნუგეში გიპოვია,
ვერც ცრემლები შეგიშრია,
ვაი, თურმე ვინ გვყოლიხარ,
მაგრამ ჩვენ ვერ შეგვიშვნია.

სიტყვით ისე გულფაქიზობ,
ცრემლი შენი ცრემლებს მადენს,
სულს სითბოთი ნუღარ მივსებ,
თორემ ღამის შემიყვარდე.

სანამ უნდა ვიუარო,
დრო გამირბის რაშით მარდით,
ისე ,,მეგულღმერთები'', რომ,
მგონი უკვე შემიყვარდი!

ერთი ისტორიული გზა-გადასასვლელის შესახებ

(,,ყაიში'')

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახუნუდან, სიგუების გვართა დასახლებიდან (ესიგუე) თარგმულ-თამაკონის მიმართულებით გადადის გზა, რაც ამ სოფლების მოსახლეობისთვის **ყალიშის//ყაიშის** სახელწოდებით არის ცნობილი. ყალიში უღელტეხილი და მინდორია წყვიასა და ნაბერაღუს მთას შუა. *წყვია* ეწოდება აბაშა-ტეხურის წყალგამყოფ მთას ტეხურის მარცხენა შენაკადის – ტუტაღალის სათავესთან (თამაკონი), ხოლო *ნაბერაღუ//გარდეფიშ დობერაშდუდი//ჯიხაშდუდი* მწვერვალია ბჟერის მთაზე, ნახუნუ-თარგამულის საზღვარზე.

სიტყვა ,,ყალიში'' ფიგურირებს სხვა ტოპონიმებ-

ნახუნუს ციხესიმაგრის გალავანი

შიც. მაგალითად, ვაკე-საბალახოს ბჟერის მთისკლათაზე, ყალიშსქვემოთ, სოფელ თამაკონში, *ყა(ლ)იშიშ რზენი* ,,ყა(ლ)იშის ვაკე'' ეწოდება, ხოლო ფერდობს ბჟერის კალთაზე – *ყა(ლ)იშიშ ფერდი*. ბუიშიადან ტუტაღაიში ჩამავალი ხევი *ყაიშიშ რობუს* სახელით არის ცნობილი.

ტოპონიმი ,,ყაიში'' დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშეა მითითებული გივი ელიავას მიერ შედგენილ თამაკონისა და ნახუნაოს ,,სასოფლო საბჭოების'' ტოპონიმთა ნუსხაში (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტოპონიმიკური ატლასი. თბ., 2022, გვ. 69, 83).

სახელწოდება *ყაიში* სამეგრელოს ტოპონიმიაში ბევრგან არის დამოწმებული. მაგალითად: 1. მინდვრის სახელწოდებად გიშახორხილთან, პატარა ინჩხურში; 2. დაბალი სერის სახელწოდებად სოფ. ლეცავეში, აფხაზურესა და ოდეკეშს შუა, ერთგან არსებულ ჩადაბლებაზე გადადის გზა სოფ. პირველ ბალდაში; 3. ჩავაკება-ჭიჭყობის სახელწოდებად ქუაჩამურსა და ნაბართოუს შუა, ინჩხიის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. დიდ ინჩხურში, სადაც, ქუაჩამურთან ჩამოდის ვიწრო გზა-გასასვლელი; *ყალიში* – ვაკე-სახნავის სახელწოდებად სოფ. პირველ გურძემში, ნახურცილავოს საზღვართან; *ყა(ლ)იში* – ფერდობის სახელწოდებად სოფ. ნახურცილავოში, მამანთარიშ ოხვამეს აღმოსავლეთ კალთაზე (იხ. პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. VI, მარტვილის რაიონი. ჩრდილოეთი ნაწილი. თბ., 2012, გვ. 610); გზის მონაკვეთის სახელწოდებად ეგვიეშ ნოლის ნაპირზე, ბუიშამდე; სახნავის სახელნოდებად გიშახორხიის გზასთან, სოფ. ქვაითში (იხ. ი. კეკელია, მარტვილის ტოპონიმია, თბ., 2009, გვ. 123).

ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ გზა, რაც ყალიშზე გადადის და თამაკონ-ნახუნუს ერთმანეთთან აკავშირებს, ტოპონიმიაში **ყა(ლ)იშიშ შარას** ,,ყალიშის გზის'' სახელითაა ცნობილი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტოპონიმის ამოსავალია მეგრ. ყალი (ბანძურ-მარტვილურ თქმაში: ყაი), რაც ქართ. ,,ყელის'', ,,კისრის'' შესატყვისია. მეტაფორული ნომენი ყა(ლ)ი და მისგან ნაწარმოები ყაიში//ყალიში ,,ყელისა'' აღნიშნავს უღელტეხილს, გზა-გადასასვლელს ქედზე, სერზე, მთაზე, ბორცვზე (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 610, 611).

მეგრული ენის სალექსიკონო მასალებში **ყალი** სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობად მითითებულია ,,ყელი, ვიწრო გადასასვლელი (მთისა)''. *ყალიში* განმარტებულია როგორც ,,უღელტეხილი, გზა უღელტეხილზე; ყელისა, საყელო'', ხოლო *ყალიჩე* როგორც ,,მთის ყელი'' (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, გვ. 649). ლექსიკონში ასევე გვხვდება განმარტება სიტყვებისა: *ყალაიბონი* ,,უღელტეხილი'', *ყალი* ,,ყელი (მდინარისა, ქედისა, რკინიგზისა), უღელტეხილი, გადასასვლელი ქედზე''; *ყალიშ ბონი* ,,უღელტეხილი'' (იქვე, გვ. 652). სამეგრელოს ტოპონიმიაში ასეთივე მნიშვნელობით გამოიყენება *გიშახორხილი* ,,გამოხერხილი, ჩახერხილი; ტყეში გაჭრილი (გზა); გზა მაღლობში, უღელტეხილი'' (იქვე, გვ. 183), *გოხორხილი* ,,გახერხილი'', *გედირაკალი* ,,ჩადრეკილი, დადრეკილი; ყელი მთისა, გადასასვლელი'', *გოდირაკილი* ,,გადრეკილი, გაღუნული, ჩაზნექილი'' (იქვე, გვ. 85, 189), *გოტოხირი* ,,ამოტეხილი'', *გოშირილი, გიშაშირილი* ,,გაცვეთილი'' და *უნანგერა* ,,უნაგირივით ჩაზნექილი (მთა)'' (მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, გზები და უღელტეხილები მარტვილის რაიონის ტყისა და საძოვრების ზონაში. კრ. ,,არსენ ოქროჯანაშვილი – 80'', ქუთ., 2010, გვ. 96). მიჩნეულია, რომ უნაგირად იწოდებოდა აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფი ქედი, რაც რამდენიმე მთის – დადიაშ ტახტას (სოფ. ზედა სორტაში), ნაქალაქევის, აბედათისა და კალამონას (სოფ. ნაესუუ-ინჩხურში) კრებსით სახელადაა აღიარებული. ეს მთები ერთმანეთისაგან მართლაც უნაგირისებური დადაბლებებითაა გამოყოფილი.

პირველი წერილობითი წყარო, სადაც უნაგირას მთაა მოხსენიებული, არის ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი. ისტორიკოსი აღნიშნავს: ,,...ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი. ამას უწოდებენ **უნაგირას**. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად. და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო'' (**ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ,,ქართლის ცხოვრება'', ტ. IV, თბ., 1973, გვ. 777). ამასთანავე, ვახუშტიმ იცის, რომ ,,ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე და სასახლე დადიანისა'' (იქვე, გვ. 777).

სწორედ ისტორიულ წერილობით წყაროებში კარგად ცნობილ უნაგირას ქედზე გადადის ის ისტორიული გზა, რაზეც წინამდებარე პუბლიკაციაში ვამახვილებთ ყურადღებას.

გივი ელიავას ნაშრომში ნახუნუდან თარგამულ-თამაკოსაკენ მიმავალი აღნიშნული გზის სახელწოდებად მითითებულია **მექალაქეში შარა** ,,მექალაქის გზა'', რასაც ახლავს რესპოდენტის შემდეგი განმარტება: ,,თამაკონიდან და ტეხურის იქითა სოფლებიდან ამ გზით გადმოდიოდნენ ბაზარში მიმავალი გლეხები. მაშინ ბაზრობა მარტვილში იმართებოდა'' (გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 83).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სოფ. ნახუნუში გზათა და საგზაო ნაგებობათა სახელწოდებებად დამოწმებულია *განაჭკირა* ,,გაჭრილი'' (რესპ.: ,,გზის გასაყვანად გაჭრილი ბორცვი''), *კოჩიში გიმმაჩამაეფიში შარა* ,,აკაცის გამყიდველთა გზა''

ნახუნუ-თამაკონის ისტორიული გზა-გადადასასვლელის სქემატური რუკა

ყაიშის გზა-გადასასვლელი

(რესპ.: ,,ამ გზით დადიოდნენ ყაჩაღები და მოტაცებული ბავშვები და მოზრდილები მიჰყავდათ ზღვისპირეთისაკენ''), *ოკატუეში* ,,საკატე'', *კუტაიერი* ,,მოკლე ასასვლელი გზა'' და *საყარაულო* (რესპ.: ,,ადგილი, სადაც ტყვეთა მტაცებლებისაგან თავის დასაცავად სოფელს მორიგეობით ეყენა ყოველღამე ყარაული'') (იქვე, გვ. 83). დავაზუსტოთ: *საყარაუდო* ,,სადარაჯო, საყარაულო, სათვალთვალო'' ეწოდება ადგილს მექალაქეშ შარაზე, წკანტიღეეს მარჯვენა მხარეს, ფაქვაშის სამხრეთით (იხ. გ. ელიავას მიერ 1961 წელს შედგენილი ,,სოფ. ნახუნაოს ტოპონიმიკური რუკა'', წიგნში: გ. ელიავა, სამეგრელო, ტოპონიმიკური ატლასი, გვ. 84).

უნაგირას ქედის სამხრეთ ფერდობს ქამარივით შემოვლებული გზა-გადასასვლელი კარგად მოჩანს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ზონის სოფლებიდან (ბანძა, ნოჯიხენი, ნაგვაზუუ, ნახარებუ) და მუნიციპალიტეტის ცენტრიდან – ქალაქ მარტვილიდან.

ამ ძველისძველი გზით ოდითგანვე ერთმანეთს უკავშირდებოდა აბაშისა და ტეხურის ხეობების მოსახლეობა, რასაც მოწმობს ნახუნუსა და თარგამულ-თამაკოს ტერიტორიაზე შუა საუკუნეების თავდაცვით ნაგებობათა – ციხე-სიმაგრეების, აგრეთვე საკულტო ნაგებობების (ეკლესიები) არსებობაც. ზოგიერთი მათგანის შესახებ მცირე ინფორმაციას აქვე წარმოვადგენთ.

(გაგრძელება იქნება)

იგორ კეკელია, ფოთის №15 საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი, ისტორიის დოქტორი
თემურ კუბეცია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის მიმართულების სპეციალისტი
ედიშერ ბალაძურია, თსუ დოქტორანტი

რევაზ დანელია 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი რევაზ ილიას ძე დანელია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშრმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა.

მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო რევაზ!

ჩვენო ძვირფასო თანამოსანგრევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს. თითქმის ექვსი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულ მწერლობაში შემოაბიჯეთ. 1967 წელს გაზეთ „შრომის დროშაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები, რომლებმაც იმთავითვე მიიქცია სალიტერატურო წრეების ყურადღება ორიგინალური აზროვნებით, საგნებისა და მოვლენების არსში წვდომის უნარით, დამაჯერებლობით, ყოველივე იმით, რასაც მწერლური ნიჭიერება ჰქვია. ქართველი მკითხველი მუდამ დიდი ინტერესით ხვდებოდა და ხვდება თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „ფიცი“, „მზის წვიმა“, „ფიქრის სახლი“, „ზღვის მინდორი“, „დაფიონი“, „ფრთების კოცონი“, „სულის სისხლი“, „შარავანდედი“... ამ კრებულების ლირიკული გმირი სულშეძრული შეჰყურებს საოცარ მისტერიას – თუ როგორ იწერება თოვლისფერ ეტრატზე მისი საესავი ქვეყნის მატიანე, ქრისტესავით ჯვარცმული სამშობლოს ვაებითა და კვნესით სავსე ისტორია, სამშობლოსი, მზის ქანდაკებასავით რომ დგას ეულად და სასწაულებრივად იგერიებს გარე თუ შინა მტრების შეტევებს, მის იავარქმნასა თუ დაცემას რომ ლამობენ, ველური გავეშებით რომ უტევენ იმ იგავმიუწვდომელ ტრადიციებსა თუ სიწმინდეებს, დღევანდლამდე რომ მოიყვანა ივერთა მიწა. ხვდება, სხეულით ხვდება, რომ საქართველო მზე და მთვარეა და ცვარში ჩატეული სიხარულიც ყოფნის რწმენად და იმედად. სიხარულს კი თუნდაც ის ანიჭებს, როცა შეჰყურებს, თუ როგორ ათოვს იების ფანტელები მზის სურნელით გადამთვრალ ველებს. მზერა რატომღაც ეგვიპტისკენ მიუმართავს, კელაპტარივით ტანანთებულ კლეოპატრასკენ და ნებსით თუ უნებლიედ იმ საწყისებს ეფერება თუ ელოლიავება, საიდანაც დაიწყო ქართული სისხლის ამაყი და ქედუხრელი დინება... ციური სამანების მოხილვის შემდეგ ერთ სამწუხარო დასკვნამდე მიდის, იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ, ყველანი, მაინც გალიის ჩიტებს ვგავართ, რადგანაც ჩვენთვის ხილული ცის მიღმა კიდევ მირიადი ცაა.

თქვენს პოეზიას, ტყაშმაფებით და ოჩოკოჩებით დასახლებულ პოეზიას სულ სხვა რეალობაში გადავყავართ, იქ, სადაც საოცარი ჰარმონია გამეფებულა, სადაც ყაყაჩოების მზეში ღვინისფერი სიზმრები ნანაობს, ცისარტყელებს კი ქამანდივით ისვრიან მოუხელთებელი სისხლისფერი ბედაურების მოსათვინიერებლად. კალმახივით დაწინწკლული სხივები სხმარტალებს სულში და გაიძულებს საამბოროდ მიეახლო ცვარს – ანგელოზთა ცრემლებს. მხოლოდ თქვენს ზმანებებში შეიძლება ვიხილოთ სულისშემძვრელი საოცრება – როგორ დაწაფებია მზე ბროლის წყაროს...

თქვენი საყმაწვილო კრებულები („ქართველი“, „მზის შვილები“) შეიყვარეს ქართველმა ბავშვებმა.

ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები მიუძღვენით გიორგი შატბერაშვილის, ჭოლა ლომთათიძის, გურამ რჩეულიშვილის, შალვა კარმელის, შოთა ჩანტლაძის, იოსებ ნონეშვილის, ნოდარ დუმბაძისა და სხვათა შემოქმედებას.

სხვადასხვა დროს მუშაობდით პედაგოგად მარტვილსა და თბილისში, საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სექციების პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „სიტყვა ქართულის“ რედაქტორის მოადგილედ, ქართველ მწერალთა დამოუკიდებელი კავშირის მდივნად... დამფუძნებელი და დირექტორი ბრძანდებით გამომცემლობა „ხელოვანისა“ და ქართველ მკითხველს პირველხარისხოვან, გაუხუნარ ლიტერატურას სთავაზობთ.

თქვენი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ქართული პოეზიის მშვენების - გიორგი ლეონიძის სახელობის პრემია, ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება.

ბატონო რევაზ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძმასა და მეგობარს, ჩინებულ შემოქმედსა და მოქალაქეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს.

სასწაული

ცა ინაბება, უნაბები ცისფრად ღუიან,
აქ, უფლის ცაშიც, შენ გულს ბევრჯერ უღუღუნია.
რქებს ზე მოჰყვება, საკუთარ რქებს ჩუმად ღვინია?
მზის ეს სოფელი (ცაში ლხინი!) სულაც ღვინოა!
შენც მიდი, შესვი ეს ცა, მზეც კი – გულზე ისხურე,
შენი სულია ის მეგუთნეც და ის, ის ხუროც!
ირმისფერია, ირემია სულაც ეს ყანა!
კაცმა ბავშვივით დედამიწა ხელთ აიყვანა.
რა სასწაულად, რა ლამაზად, ჰოი, რა თბილად!
ცა ინაბება... აწ მზისფერი ეს უნაბები
ცაში არიან, აგერ აქვე, სად არ არიან!
თაფლა მინდორიც ჩუმად ცისკენ მიინაბება?
ეს შენი სული – საქართველო – მთლად სიზმარია!

ცის ტაძარი
(ვედრება)

თუთარჩელას ვავედრებდი შენს თავს,
ილორს ვიყავ,
ჩოქვით აველ მარტვილს,
ო, ეს ღამე ღვინისფერი შეთვრა?
ღამის
სული
ცაში
აღიმართოს!
ცის ტაძარში ლოცვად ისევ შევალ,
თბილ აჩრდილებს დავუდგები გვერდით,
როს შანდალით ცრემლი ამოშრება
თაფლის სანთლის, მეც მინებე,
ღმერთო!
თუთარჩელას ვავედრებდი შენს თავს,
ილორს წავალ,
ჩოქვით ავალ მარტვილს,
ო, ეს ღამე თვინისფერი შეთვრა?
ღამის
სული
ცაში
აღიმართოს!

შენი სახელის, მიწავ, ჭირიმე

ნახირი მოძოვს ზეცაში ღრუბელს
მზის წვიმა ფერებს გადაინაბებს,
ამოევსებათ სიცილით უბე
ალუბლებს, ნუშებს, შინდებს, უნაბებს.

შენი სახელის, მიწავ, ჭირიმე,
მუხლზე გეხვევი, ყელზე გეხვევი,
მე მომკლეს გუშინ როგორც ირემი,
ცაში ავედი ჩემივ ფეხებით.

მე ახლაც ცად ვარ და ვეფერები
ალუბლებს, ნუშებს, შინდებს, უნაბებს...
ჩემივ მოკლული ბედნიერებით
მერე წავალ და არც რას ვინანებ!..

ნახირი მოძოვს ზეცაში ღრუბელს...

2025 წლის მნიშვნელოვანი სიახლეები

სასიამოვნო სიახლე პენსიონერებისთვის

ახალი წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა ასაკობრივი პენსიონერებისთვის პენსიების გაზრდა. 1 იანვრიდან 70 წელს ზემოთ პირთათვის პენსია შეადგენს 450 ლარს, აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის 540 ლარს. 70 წლამდე პირთა პენსია 350 ლარი იქნება, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირებისთვის კი – 420 ლარი.

ჯარში გაწვევა ახალი წესით

1 იანვრიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ახალი წესი ამოქმედდა. ამ წესების მიხედვით, გაწვევა განხორციელდება მხოლოდ სამხედრო სამსახურში, რომელსაც ერქმევა „წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური“.

წვევამდელებისთვის სამხედრო სამსახურის ვადა ექვსი თვიდან 11 თვემდე იქნება – წვევამდელთა სამსახური იქნება ანაზღაურებადი, ასევე იქნება გათვალისწინებული შვებულებები და დასვენების დღეები.

გაწვევა განხორციელდება წვევამდელთა სიიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით – ასაკი 18-დან 27 წლამდეა. სტუდენტებს საშუალება ექნებათ აირჩიონ მათთვის შესაფერისი ვარიანტი – ჯარში სამსახური წელიწადში ერთხელ ერთი თვის განმავლობაში, ან სწავლის პერიოდში ინტენსიური კურსი ოფიცრის წოდების მისაღებად.

ახალი წესები ავჯოიმპორჯიორებისთვის

2025 წლის 1 იანვრიდან საქართველოში აკრძალულია 2014 წლამდე წარმოებული სატვირთო მანქანებისა და ავტობუსების რეგისტრაცია და იმპორტი.

შეზღუდვა დაწესდა საქართველოს ევრო-5 სტანდარტზე გადასვლასთან დაკავშირებით. ევრო-5 არის ეკოლოგიური სტანდარტი, რომელიც ავტომობილის გამონაბოლქვის აირებში მავნე ნივთიერებების შემცველობას არეგულირებს.

ორი მნიშვნელოვანი პროექტი გახანგრძლივდა

საქართველოში გადაწყვიტეს გაახანგრძლივონ ორი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას ცხოვრებას გაუადვილებს.

2026 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა, რაც საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს მოაგვარონ მიწის ნაკვეთების საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ასევე, 2027 წლის 1 იანვრამდე გახანგრძლივდა საქართველოს მოქალაქეობის აღდგენისა და მისი შენარჩუნების შესახებ განცხადებების შეტანის ვადა.

საუბარია საქართველოს მოქალაქეებზე, ვისაც 2018 წლის 15 აგვისტომდე არ დაუკარგავს საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების მიზეზით და რომლებმაც მოქალაქეობა დაკარგეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო.

სიახლეები მწეველებისთვის

1 იანვრიდან ძალაში შევიდა ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს თამბაქოს თითქმის ყველა პროდუქტზე აქციზის გაზრდას.

აქციზის გადასახადი საშუალოდ 0,1-0,2 ლარით გაიზარდა, ხოლო სიგარეტის ღირებულებამ წინასაახალწლო პერიოდში საშუალოდ 0,3-0,5 ლარით მოიმატა. საქართველოში ერთი კოლოფი სიგარეტის ღირებულება 5,8 – 6 ლარიდან იწყება.

რედაქტორი
ფაუსტ ნადარაია

რედაქციის მისამართი
ქ. მარტვილი
თავისუფლების ქ. №10
ტელ: 591 25 69 10

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი, დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია „თავისუფალი პრესა“